

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

2015 წლის 13 მაისი

ქ.დუშეთი

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო, სახელმწიფო შესყიდვაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

2015 წლის აპრილის თვეში ძლიერი წვიმებით გამოწვეული შედეგების აღმოსაფხვრელად საჭიროა მადაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კაწალხევში მდინარის კალაპოტების გაჭრა-დადრმავება, ხოლო ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ წინხადუ-გუდანის და ბარისახოდან რომკამდე გზების გაწმენდა-მოსწორება. ზემოაღნიშულთან დაკავშირებით, მადაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კაწალხევის; ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ წინხადუ-გუდანის და ბარისახო-როშკას სოფლების მოსახლეობას ექმნება რეალური საფრთხე.

აღნიშნული შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რომლის პროცედურები გარკვეულ დროს მოითხოვს. იმის გათვალისწინებით, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში შექმნილია მძიმე ვითარება, გამგეობა შექმნილ ვითარებას აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფოს შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 15 740(თხუთმეტი ათას შვიდას ორმოცი) ლარზე.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.